ლალი ფირცხალავა, გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე

ისტორია 12

მოსწავლის რვეული

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სახელი _____

გვარი _____

კლასი _____

1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები:

რეფერენდუმი

კონკორდატი

ემიგრანტი

სტატუს კვო

კომპეტენცია

ენციკლიკა

პროლეტარიატი

მანიფესტი

ანექსირება

რუსიფიკაცია

ავტოკეფალია

კამპანია

ცენზურა

ლოიალობა

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი

2.1 1801 წელს ვატიკანთან გაფორმებული კონკორდატით:

ა) კათოლიციზმი გამოცხადდა საფრანგეთის რელიგიად;
ბ) ვატიკანს გადაეცა საფრანგეთის კათოლიკური ტაძრები;
გ) კათოლიციზმი გამოცხადდა ფრანგთა უმრავლესობის რელიგიად;
დ) კათოლიციზმი გამოცხადდა ფრანგთა უმცირესობის რელიგიად.

2.2 ლაიფციგთან გამართულ „ხალხთა ბრძოლაში“ ნაპოლეონის არმიის მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ:

ა) ესპანელები;
ბ) პოლონელები;
გ) იტალიელები;
დ) ავსტრიელები.

2.3 ევროპის კონცერტის სისტემა გულისხმობდა:

ა) ხუთი წამყვანი სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას;
ბ) ბელგიისა და პოლონეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას;
გ) ბალკანეთის ქრისტიანი ხალხების გამოყოფას ოსმალეთის იმპერიისაგან;
დ) ევროპული სახელმწიფოების ალიანსის შექმნას ოსმალეთის წინააღმდეგ.

2.4 1886 წელს ჩიკაგოში საყოველთაო გაფიცვით მუშებმა მიაღწიეს:

ა) პროფკავშირების შექმნას;
ბ) უფასო საცხოვრებლით უზრუნველყოფას;
გ) 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას;
დ) ბავშვების შრომის აკრძალვას.

2.5 ლუი-ფილიპს ოფიციალურად ეწოდებოდა:

ა) საფრანგეთის ღვთივკურთხეული მეფე;
ბ) ფრანგების მეფე;
გ) საფრანგეთის იმპერატორი;
დ) ფრანგების ღვთივკურთხეული იმპერატორი.

2.6 1848 წელს ფრანკფურტის ნაციონალურმა კრებამ ჩამოაყალიბა:

ა) გერმანელი ხალხის ძირითადი უფლებები;
ბ) გერმანიის კონსტიტუცია;
გ) გერმანიის გაერთიანების გეგმა;
დ) გერმანიისა და ავსტრიის გაერთიანების გეგმა.

2.7 ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიას საეგზარქოსოს სახით ექვემდებარებოდა:

ა) 1801-1905 წლებში;
ბ) 1804-1895 წლებში;
გ) 1811-1917 წლებში;
დ) 1811-1914 წლებში.

2.8 სოლომონ დოდაშვილმა დაარსა:

ა) „ტფილისის უწყებანი“;
ბ) „სალიტერატურო, ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“;
გ) „დროება“;
დ) „ივერია“.

2.9 ყირიმის ომში რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ:

ა) ოსმალეთი და საფრანგეთი;
ბ) ინგლისი და ოსმალეთი;
გ) ინგლისი და საფრანგეთი;
დ) ოსმალეთი და ავსტრია.

2.10 რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომის შედეგად:

ა) რუსეთის იმპერიას შეუერთდა ბულგარეთი;
ბ) რუსეთის იმპერიას შეუერთდა აჭარა;
გ) საბერძნეთმა მიიღო დამოუკიდებლობა;
გ) ყირიმის ნახევარკუნძული შეუერთდა ოსმალეთს.

3. დაალაგეთ მოვლენები ქრონოლოგიური პრინციპით (მიუწერეთ წლებიც):

3.1

ფრანკფურტის ნაციონალური კრების დაშლა	☐	_____
პოლონეთის მეოთხე დაყოფა	☐	_____
18 ბრიუმერის გადატრიალება	☐	_____
საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის შექმნა	☐	_____
,,სამოქალაქო კოდექსის“ მიღება საფრანგეთში	☐	_____
,,ხალხთა ბრძოლა“ ლაიფციგთან	☐	_____

3.2

იმერეთის სამეფოს გაუქმება	☐	_____
ბერლინის კონგრესი	☐	_____
ადრიანოპოლის ზავი	☐	_____
მოსკოვში პავლე I-ის მანიფესტის გამოქვეყნება	☐	_____
ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება	☐	_____
დეკაბრისტთა ამბოხი	☐	_____

4. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა

ინდუსტრიალიზაცია, 1866, ვატერლოო, 1801, ვენა, ვატიკანი, სოციალური, ნაპოლეონი, კონკორდატი, 1815, კათოლიკური, კონფედერაცია, რეგლამენტირებული, პრუსია.

4.1 _____ წელს _____ გაფორმებული _____ მოხდა საფრანგეთის სახელმწიფოს შერიგება _____ ეკლესიასთან.

4.2 _____ წლის ივნისში _____ დამარცხდა ინგლისისა და _____ გაერთიანებულ ჯარებთან ბრძოლაში _____.

4.3 _____ კონგრესზე მიღწეული შეთანხმებების შედეგად შეიქმნა გერმანული _____ (იარსება _____ წლამდე).

4.4 _____ საწყის სტადიაზე სამუშაო დრო არ იყო _____ , არ არსებობდა _____ დაცვის რაიმე მექანიზმი.

1837, მალაკნები, კონგრესი, ბაგრატიონთა, 1879, რუსეთში, 1828, იმპერია, აღმოსავლეთ, პეტერბურგში, თურქმენჩაი, აჭარა, ემიგრანტთა, რუსული, დუხობორები.

4.5 1803-05 წლებში _____ სამეფო ოჯახის წევრები თითქმის მთლიანად გაასახლეს _____ (მათი უმრავლესობა დამკვიდრდა _____).

4.6 _____ წლიდან მკვეთრად გაიზარდა რუს _____ რიცხვი. პენსიაზე გასული სამხედროების გარდა, საქართველოში სახლდებოდნენ _____ ეკლესიის მიერ დევნილი სექტების წარმომადგენლები – _____, _____.

4.7 _____ წლის ბერლინის _____ დადასტურდა, რომ _____ ამიერიდან რუსეთის _____ შემადგენლობაში იყო.

4.8 _____ წლის _____ ზავით ირანმა საბოლოოდ თქვა უარი _____ საქართველოზე.

5. ჩაასწორეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები

5.1 1816 წლის ივნისში ვაგრამთან ნაპოლეონი დამარცხდა თავის უკანასკნელ ბრძოლაში ავსტრიელებისა და ესპანელების გაერთიანებული ჯარების წინააღმდეგ.

5.2 ივლისის მონარქიას საფრანგეთში „გლეხურ მონარქიას“, ხოლო ლუი-შარლს „მეფე-სოფლელს“ უწოდებენ.

5.3 1848 წლის ბარიკადული ბრძოლების შემდეგ ავსტრიასა და ბავარიაშიც კი დაინიშნნენ კონსერვატორი მინისტრები და სამივე ქვეყნის ხელისუფალნი კონსტიტუციური პარლამენტის მოწვევაზე დათანხმდნენ.

5.4 საქართველოში მთავარმართებლად დაინიშნა პავლე ციციშვილი (ციციანოვი), რომელიც გამოსული იყო გაქართველებული რუსული ბურჟუაზიული ოჯახიდან.

5.5 XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომში (1877-78) ოსმალეთმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და მიიღო ტერიტორიები როგორც ყირიმში, ისე კავკასიაში.

6. გაეცანით წყაროებს და შეასრულეთ დავალება

წყარო 1

ჯერ კიდევ ევროპის მომავლის გადამწყვეტ ბრძოლამდე, ჩათვალეს რა თავი გამარჯვებულებად, ევროპის უდიდესი სახელმწიფოების ხელისუფალნი შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ კონტინენტის მომავალზე და გადაენაწილებინათ ტერიტორიები. ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა მათ მეოთხედ დაინაწილეს. ევროპის ჩრდილოეთში მდებარე სახელმწიფომ მიმდებარე ქვეყნები შეიერთა და აქ ხელისუფლების სათავეში მოვიდა დამარცხებული იმპერატორის მარშლის მიერ დაფუძნებული დინასტია. დამარცხებული იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი გამოიყენა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი და საკუთარ ქვეყანას ძველი საზღვრები დაუკანონა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო სამართლის ახალი რეალობა.

ევროპის მომავლის რომელ გადამწყვეტ ბრძოლაზეა საუბარი? როდის და სად შედგა ეს ბრძოლა, ვინ მონაწილეობდა მასში და რა შედეგით დასრულდა ის?

სად და როდის შეიკრიბნენ ევროპის უდიდესი სახელმწიფოების ხელისუფალნი? რა ეწოდა მათ შეკრებას? რომელი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ მასში?

რომელი ევროპული ქვეყანა გადაინაწილეს მათ მეოთხედ? როგორ გადანაწილდა ამ ქვეყნის ტერიტორიები და ვის ერგო მათი ყველაზე დიდი ნაწილი? რა ურთიერთობა დამყარდა ამ ქვეყანასა და იმპერიულ ცენტრს შორის?

ევროპის ჩრდილოეთის რომელ სახელმწიფოზეა საუბარი? რომელი ქვეყნები შეიერთა მან და რა პირობით? რომელი დინასტია ჩაუდგა მას სათავეში?

რომელი იმპერია იყო დამარცხებული ომში და ვინ წარმოადგენდა მას? რას მიაღწია მან თავისი ქვეყნისათვის?

რა ეწოდა საერთაშორისო სამართლის ახალ რეალობას და რას ითვალისწინებდა ის?

წყარო 2

ამ ქვეყანას ,,მსოფლიო საამქროსაც“ უწოდებდნენ. მუშებმა მალე დაიწყეს აქ საპროტესტო გამოსვლები და მიაღწიეს პირველი შრომითი საკანონმდებლო აქტების მიღებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარების იმავე გზას დაადგნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. განსაკუთრებით დაწინაურდა დღევანდელი ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც 1871 წლამდე ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი სახელმწიფო. მუშებმა დაიწყეს საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა. მათი მთავარი იარაღის გამოყენებით XIX საუკუნის მიწურულს ერთ-ერთ ამერიკულ ქალაქში მუშებმა მიაღწიეს რეგლამენტირებული სამუშაო დღის დაწესებას.

რას უწოდებენ პროცესს, რომლის შესახებაც ტექსტშია საუბარი? როდის და სად დაიწყო ის პროცესი? რა ახლდა თან ამ პროცესს?

რა ეწოდებოდა ტექსტში ნახსენებ საკანონმდებლო აქტებს? რა შედეგი მოჰყვა ამ აქტების მიღებას?

რომელი ევროპული ქვეყანა არ არსებობდა 1871 წლამდე ერთიანი სახელმწიფოს სახით? რა ეწოდებოდა ამ პერიოდამდე ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული „სახელმწიფოების“ გაერთიანებას? როდის და რის შედეგად შეიქმნა ეს გაერთიანება?

რა იყო მუშების საპროტესტო მოძრაობის მთავარი იარაღი? რას ნიშნავდა „რეგლამენტი-რებული სამუშაო დღე“? როდის და სად მიაღწიეს მუშებმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას?

წყარო 3

ის 20 წლის ასაკიდან ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოავლინა სამხედრო ნიჭიც. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ირანში გადაიხვეწა. რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას. ის ირანის მხარეს იბრძოდა და, რუსეთის მიერ ტრაქტატის სრული იგნორირების პირობებში, მისი მიზანი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა გახდა.

ვის შესახებაა ტექსტში საუბარი? მოიძიეთ, სად და როდის დაასრულა მან სიცოცხლე.

ირან-რუსეთის რომელ ომზეა საუბარი და რა შედეგით დასრულდა ეს ომი?

რომელ ტრაქტატზეა საუბარი? რას ითვალისწინებდა ეს დოკუმენტი და რას სახით მოახდინა რუსეთმა მისი დარღვევა?